საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 47 (6541) 19 ნოემბერი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნენ:

სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარედ—**თენგიზ ბუაჩიძე;**

საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ—**თამაზ გამყრელიძე;**

თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარედ—**ნოდარ ნათაძე;**

იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ—**შალვა ნათელაშვილი;**

ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ—**ვალერიან ადვაძე;**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ—**თეიმურაზ ბასილია;**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ—**ზურაბ ნოღაიდელი;**

ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისიის თავმჯდომარედ—**ირაკლი შენგელაია;**

განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარედ—**კონსტანტინე გაბაშვილი;**

კულტურის კომისიის თავმჯდომარედ—**ელდარ შენგელაია;**

ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარედ—**თენგიზ გაზდელიანი;**

აგრარული კომისიის თავმჯდომარედ—**როინ ლიპარტელიანი;**

მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ—**ნიკოლოზ ლეკიშვილი;**

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის თავმჯდომარედ—**გრიგოლ ლორთქიფანიძე;**

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ—**ზაზა სიხარულიძე;**

მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარედ—**ვაჟა ადამია;**

სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარედ—**ბეჟან ხურციძე.**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**
**ვ. გოგუაძე.**

**თბილისი, 1992 წლის 12 ნოემბერი.**

## საქართველოს პარლამენტის სხდომებიდან

ბოლო სხდომები საქართველოს პარლამენტის მუშაობაში განსაკუთრებით დაძაბული იყო. პარლამენტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, რომლის თანახმად ფარული კენჭისყრით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად აირჩია პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —სახელმწიფოს მეთაური არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალიც.

სპიკერისა და მისი მოადგილეების არჩევის შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ საპარლამენტო კომისიების რაოდენობისა და სახელწოდებების განსაზღვრას. განხილვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და პარლამენტარებმა გადაწყვიტეს, რომ საკონსულტაციო შეხვედრებზე საბოლოოდ შეათანხმებდნენ კომისიების შემადგენლობას და მათი თავმჯდომარეების კანდიდატურებს.

ამის შემდეგ პარლამენტარებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის დანიშვნის საკითხი.

კვირას, 8 ნოემბერს პარლამენტმა დახურული ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის პოსტზე დანიშნა **თენგიზ სიგუა.**

საქართველოს პარლამენტის 10 ნოემბრის სხდომა დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარის— საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განცხადებით. მან კერძოდ ილაპარაკა საქართველოში ამჟამინდელ ვითარებაზე, რომ მოსახლეობა განიცდის პურის ნაკლებობას, რის გამოც არის რიგები, უმძიმესია საწვავისა და ტრანსპორტის მდგომარეობა, გადაუდებელი ზომებია მისაღები ზამთრის სეზონთან დაკავშირებით. ყველაზე მწვავე გადაუდებელი პრობლემაა აფხაზეთში, სოხუმში შექმნილი ვითარება. მოითხოვა მთავრობის, თავდაცვის საბჭოს, ყველა რგოლის მუშაობის გააქტიურება, ისე, როგორც ეს დღევანდელ ვითარებას შეესაბამება.

შესვენების შემდეგ, თანახმად პარლამენტის სურვილისა და გადაწყვეტილებისა, სხდომამ მოისმინა ინფორმაციები აფხაზეთიდან ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ. გამომსვლელებმა ილაპარაკეს იმ პრობლემებზე, რომლებიც გამოიკვეთა სხდომის წინ აფხაზეთიდან ლტოლვილებთან შეხვედრაზე სასტუმრო „ივერიაში".

* * *

11 ნოემბრის პარლამენტის სხდომა დაიწყო დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ლუიზა შაკიაშვილის ინფორმაციით.

შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ საპარლამენტო კომისიების თავმჯდომარეთა კანდიდატურების განხილვას, რომელიც დასრულდა იმავე საღამოს.

შესვენების შემდეგ სხდომაზე, 12 ნოემბერს, დილით გაიმართა დახურული ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგად აირჩიეს საპარლამენტო კომისიების თავმჯდომარეები (დადგენილება იბეჭდება აქვე).

პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე— სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მან მიულოცა ახლადარჩეულ კომისიათა თავმჯდომარეებს პარლამენტართა ნდობა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს არ იქნება ფორმალური აქტი და ამით პარლამენტი იწყებს სისხლსავსე ცხოვრებას.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტარებს გააზიარა აფხაზეთში მოგზაურობის ზოგიერთი შთაბეჭდილება.

პარლამენტარები შეუდგნენ რეგლამენტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვას.

## ინტერვიუ:

## ათას პრობლემას პლიუს ერთი

როცა საქართველოს თავისუფლების ზღურბლთან ვიდექით და მომავალს მხოლოდ ცალი თვალით ვუჭვრეტდით, მონდომებით ვუმტკიცებდით საკუთარ თავსაც და სხვასაც, ჩვენ ისეთი რესპუბლიკა ვართ, ციტრუსით, ღვინით, აბრეშუმით დავირჩენთ თავსო, ხოლო როცა მართლა დაგვჭირდა, „აღმოვაჩინეთ", რომ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც გვეგონა. ჩვენს ღვინოს, ჩაის, ძველთაგანვე სახელგანთქმულ აბრეშუმს დღეს მსოფლიო იწუნებს.

...თურმე ჩვენს რაიონში გარჯა-წვალებით გამოყვანილი აბრეშუმის 13 ტონა პარკი დღესაც პირველადი გადამუშავების პუნქტში ინახება ზამთრის ნესტიან ამინდსა და შენახვის არახელსაყრელ პირობებში. ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკაშიც.

* * *

**—რატომ ინახება პირველადი გადამუშავების პუნქტში აბრეშუმის პარკი?** —ვეკითხები რაიაბრეშუმის დირექტორს **დათო სალინაძეს.**

—ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ არ მიიღო პარკი იმ მიზეზით, რომ ჩვენ შესყიდვა და გადამუშავება საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა, მრეწველობას კი უნდა იაფად წაიღოს, ამან ჩვენს შორის შექმნა გაუგებრობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარკის თვითღირებულება საკმაოდ დიდია, ამიტომ კერძო ფირმებმა, ბირჟებმა, კოოპერატივებმაც, რომელთათვის პარკის მიყიდვის უფლება გვქონდა წელს, არ გამოთქვეს მისი შესყიდვის სურვილი, მით უმეტეს, რომ შუა აზიიდან უკეთესი ხარისხის პარკი შედარებით იაფად შემოაქვთ.

**—რესპუბლიკის გარეთ ვერ მონახეთ მყიდველი?**

—ქუთაისის საგრენაჟოს მიერ თავიდანვე უვარგისი თური იქნა მოწოდებული, დაავადებული ჭიების ნაწილი დაიხოცა და მეაბრეშუმეების დიდძალი შრომა წყალში ჩაიყარა, რაც გადარჩა, მაინცდამაინც კარგი ხარისხის პარკი არ მოქსოვა. რესპუბლიკის გარეთ ქართული აბრეშუმის ნიმუშები მასიურად, თითქმის ოცდაორ ქვეყანაში იქნა დაწუნებული.

**—ანაზღაურებას თუ სცემთ?**

—აბრეშუმის პარკის საფასურს შეძლებისდაგვარად ვცემთ. ბანკიდან კრედიტის სახით მილიონ ექვსასოცდაათასი მანეთია გადარიცხული სალაროებში. დღეის მდგომარეობით გაცემულია ასოთხმოცი ათასი მანეთი, ხოლო შეგვიშალა ფულის ნიშნების უქონლობამ.

ჩემს ბოლო შეკითხვას, თუ **რას უპირებენ პირველადი გადამუშავების პუნქტში არსებულ 13 ტონა პარკს,** დათომ უპასუხა:

—ველოდებით, როდის წაიღებს მრეწველობა. პარკს გადამუშავებული სახით ვინახავთ, თუმცა შენახვის პირობები არ ექვემდებარება სტანდარტებს. ვაკეთებთ იმას, რაც ჩვენს ძალებშია. იმედი გვაქვს ახალი პარლამენტი მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას აბრეშუმის პარკის თაობაზე და მთავრობა გადმოგვირიცხავს თანხებს, რომ ხალხმა მიიღოს გაწეული შრომის ანაზღაურება.

**მადონა მახაროზლიძე.**

## სოციალური გარანტიები: იმედები, პერსპექტივა

## ისევ ზირფის იმედით

თითქოს ერთბაშად გაშიშვლდა ჩვენი ყოფის ყველა პრობლემა, მოჯადოებულ წრედ შემოგვერტყა და მწარე რეალობის წინაშე დაგვაყენა; ქაოსისა და განუკითხაობის შედეგმა ბევრი დამალული ჭირიც სათვალსაჩინო გახადა... შიმშილის ზღურბლთან მყოფთ, ერთადერთი იმედიღა შეგვრჩენია, იქნებ გვიხსნას გონიერებამ და ფასი ძალმომრეობას კი არა, მამულზე გულშემატკივრის, ჭკვიანი კაცის სიტყვას დაედოს და საქმიან საქმესაც ძალა მიეცეს, თორემ მწერლის თქმისა არ იყოს, ლაფში ჩავარდნილ ურემს დღეს ყველა ვუმზერთ, მისი ლაფიდან ამოყვანის გზა კი ნაკლებად ჩანს.

მართალია, არც ის გვარგებს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილებმა თავში ხელი წავიშინოთ, ვიძახოთ ზნეობაგამრუდებული ერი ვართ და ჩვენი საშველი არ იქნებაო, მაგრამ დამალული ჭირიც რომ უარესს გვარგუნებს, ესეც გამოვცადეთ, თანაც მწარედ.

და დღეს ომის პირობებში ვცხოვრობთ, საკუთარ მიწაზე ლტოლვილები, ჩვენივე გულუბრყვილობით მოყვარედ მიღებული მტრისაგან დევნილნი ვართ, თითქოს ამ დიდ სატკივარს მხარს აძლევენო, შეუჩერებლად მზარდმა ინფლაციამ, გაპარტახებულმა მრეწველობამ, მძიმე კრიმინოგენურმა სიტუაციამ თუ სხვა მეტნაკლებად მტკივნეულმა საკითხმა ერთბაშად შემოგვიტია და იმდენად დაგვაუძლურა, რომ ყოველდღიურ თავსატეხად გაგვიხადა საარსებოდ აუცილებელ პრობლემათა მოგვარება, კაპიკად ღირებულ სამანეთო სივრცეში მყოფი ჩვენი ეკონომიკა კი დღესდღეობით სიღარიბის ზღურბლს ქვემოთ გვერეკება.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოციალური გარანტიები: იმედები, პერსპექტივა

# ისევ ბირჟის იმედით

(დასასრული)

ახლა ბაზარს რომ ცეცხლი მოეკიდა და პროდუქტების ფასებმა დღითიდღე იმატა, საკუთარ ეზო-კარმიდამოში მოყვანილის ფასიც ბევრმა გაიგო, თითქმის დაუხვნელი არ დარჩა არცერთი გოჯი მიწა, მოუთიბავი სათიბი, მაგრამ რაც გინდა, საწვავის დეფიციტის და სიძვირის პირობებში მოწეულის დაბინავება, საკურველად მოხმარებაც გაძნელდა.

არადა მოსახლეობის დღევანდელი შემოსავლით ძნელია მიწვდე საკვები პროდუქტების არსებულ ფასებს, დღეს ხომ კარაქის, შაქრის, ზეთის შეძენა ასმაგად და უფრო მეტად გაზრდილ ფასებშია შესაძლებელი. კი, ბატონო, „ჭამა ქონებაზე ჰკიდია“, მაგრამ როცა საკუთარი ხელფასით მინიმალურსაც ვერ შეიძენ, როცა სილარიბე კარის ზღურბლთან ჯიუტად დგას (?!).

თანამედროვე ცხოვრებაში ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით, კომუნალური მეურნეობით მომსახურებაც ხომ აუცილებელია, და ამასაც ჩვენმა გაძვალტყავებულმა ბიუჯეტმა უნდა გაუძლოს.

რამდენიმე დღის წინ პურის ფასიც გაიზარდა.

რეალურია, რომ საზოგადოებას არსებული მატერიალური მდგომარეობით გაუძნელდება გაუძლოს ფასების იმ დონეს, რაც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი.

მთავრობამ გაუორკეცა ხელფასები საბიუჯეტო ორგანიზაციებს, გაიზარდა დახმარებები, პურის საკომპენსაციო თანხა, მაგრამ სავალალო მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ სამეურნეო ანგარიშიან ორგანიზაციებს არა აქვთ სახსრები გაზარდონ ხელფასის მოცულობა, მოსალოდნელია შტატების შემცირება, ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელი ერთგვარ ნიადაგსაც ამზადებს თანამშრომელთა განსათესად, იძულებით აწერინებენ განცხადებებს (რის შედეგად, კანონით ისინი არ ითვლებიან, როგორც უმუშევრები). ასე, რომ მუშა-მოსამსახურეები სამუშაოს გარეშე რჩებიან და მათ ბედზე შემდგომ ზრუნვა შრომის ბირჟებს ევალებათ.

დღეისათვის ქუთაისის შრომის რეგიონული გაერთიანების ცაგერის შრომის ბირჟას უკვე 800-მა მოქალაქემ მიმართა.

აი, რა გვითხრა ამ ბირჟის უფროსმა სპეციალისტმა ნუნუ ბაბუხადიამ:

—ცაგერის შრომის ბირჟის მიერ 80 კაცს მინიჭებული აქვს „უმუშევრის სტატუსი“.

აქვე განვმარტავთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით— „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ“ — დაწესდა უმუშევრის სტატუსის მქონე პირებზე გასაცემი შემდეგი შემწეობა:

ა) უმუშევრობის პირველი სამი თვის განმავლობაში უმუშევრებს მიეცემათ მინიმალური ხელფასის 80 პროცენტი;

ბ) უმუშევრობის მეოთხედან მეექვსე თვის ჩათვლით—მინიმალური ხელფასის 70 პროცენტი;

გ) უმუშევრობის მეშვიდედან მეცხრე თვის ჩათვლით—მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი;

დ) უმუშევრობის მეათედან მეთორმეტე თვის ჩათვლით—მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი;

ე) უმუშევრობის სტატუსის მქონე იმ პირებისათვის, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს (უმაღლესი ან საშუალო, საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები და სხვა), შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი მკურნალობის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისათვის შემწეობის ოდენობა განისაზღვრება.

—უმუშევრობის სტატუსი მოქმედების პირველი ექვსი თვის განმავლობაში—მინიმალური ხელფასის 60 პროცენტის ოდენობით;

—დანარჩენი ექვსი თვის მანძილზე—მინიმალური ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით.

დიასახლისებს და სტატუსის არმქონე უმუშევრებს კომპენსაციები ბიუჯეტიდან მიეცემათ თვეში 800 მანეთის ოდენობით.

ჩემს მიერ ყოველთვიურად ქუთაისის შრომის რეგიონალურ ბირჟის კომისიას წარედგინება ჩვენი რაიონის უმუშევარი მოსახლეობის მონაცემები. მათთვის განკუთვნილი თანხაც ქუთაისის შრომის ბირჟიდან გადმოირიცხება, მაგრამ ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით თანხის დროული მიწოდება მოქალაქეებისათვის გვიანდება, სამწუხაროდ, ერთი თვითაც კი. ვფიქრობ, საჭიროა ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევით გაირკვეს ამის მიზეზები. ასევე ფერხდება „ერთიანი დასაქმების ფონდში“ 3 პროცენტის ჩარიცხვა. არის შემთხვევები, როცა კოოპერატივებს, ფირმებს, კომერციულ საწარმოებს ხელფასის ფონდი ცალკე არ აქვთ გამოყოფილი, რის გამოც ისინი ხელოვნურად არღვევენ წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობებს, რითაც ზარალდება სახელმწიფო ბიუჯეტი, არ ხდება თანხის მოზიდვა „დასაქმების ერთიან ფონდში“. ზემოაღნიშნულით ძნელდება უმუშევრებზე დახმარების და პურის საკომპენსაციო თანხების გაცემა.

დღეისათვის ბირჟაზე აღრიცხულ 290 მოქალაქეს მინიჭებული აქვს „სამუშაოს მაძიებლის სტატუსი“. მათ შორის უმეტესობა საშუალო სპეციალური განათლების მქონეა. ე. წ. მუშის კატეგორია. საერთოდ, დახმარებისათვის მოგვმართა ყველა სახის სპეციალობის მქონე მოქალაქეებმა, მათ შორის მეტად უმაღლესი იურიდიული და ეკონომიური განათლების მქონენი. სამუშაო ადგილის მაძიებელთა უმეტესობა ინჟინრის პროფესიისაა. ჯერჯერობით უმუშევართა დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა, საიმედოს არც ახლო მომავალში ველით.

როგორც ჩანს პრობლემები შრომის ბირჟასაც საკმაოდ აქვს, მაგრამ ჩვენს მწარე რეალობაში, უმუშევართა თუ პოტენციურ უმუშევართა იმედიანი მზერა ისევ შრომის ბირჟისკენაა მიმართული.

ლელა ცხვედიანი.

# მოთმინება გვმართებს

## როცა ხელფასი ფასებს ვერ ეწევა

მეტად დაძაბულ და რთულ პირობებში გვიწევს ცხოვრება, ფაქტიურად საომარ პირობებში. ფასების ლიბერალიზაციამ მოსახლეობის უმეტესობა სიღატაკემდე მიიყვანა. დღეს საკითხი დგას მხოლოდ და მხოლოდ შიმშილის დაკმაყოფილებაზე და არა ფუფუნებაზე, რომელიც ალბათ ერთეულებსაც აღარ აქვთ.

წელს მთავრობამ მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით მეხუთედ გაატარა ღონისძიება (გაზარდა ხელფასები), მაგრამ ფასების ზრდა იმდენად უსწრებს ხელფასის ზრდას, რომ მოსახლეობას მინიმალური საარსებო პირობების დაკმაყოფილებაც უჭირს.

გასაგებია, რომ ომია და ქვეყანას უჭირს, უნდა გავიჭირვოთ და მხოლოდ აუცილებლით დავკმაყოფილდეთ, ეს აუცილებელი კი პირველ რიგში პურია. პურზე ფასების ზრდა ერთის მხრივ გამართლებულია იმ გაგებით, რომ არ მოხდება მისი გატაცა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, არ იქნება გამოყენებული პირუტყვის საკვებად, რაც პურის რიგებს შეამცირებს, მაგრამ ეს მაშინ, როცა მოსახლეობას მისი მსყიდველობითი უნარი ექნება. მთავრობამ ტელევიზიით გვაცნობა იმის თაობაზე, რომ პური გაძვირდება მაშინ, როცა ყველა მიიღებს შესაბამის საკომპენსაციო თანხას. ჩვენი რაიონის სინამდვილეში პრაქტიკულად პურზე საკომპენსაციო თანხა პურის გაძვირების პერიოდისათვის (11 ნოემბრისათვის) არავის არ ჰქონდა მიღებული, ვინაიდან სამისო დაფინანსება არ გვქონდა (ჩვენი ადგილობრივი შემოსავლები ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს.)

დღეისთვისაც რაიმე ინსტრუქციული მითითება არ გვაქვს ამის თაობაზე მიღებული, ტელევიზიით გადმოცემული კი ყველამ სხვადასხვაგვარად გაიგო, არც გაზეთში მოცემული მითითება პასუხობს სრულყოფილად ყველაფერს. კარგი იყო მითითებები სრულყოფილად დასულიყო ყველა რეგიონამდე და შემდეგ მომხდარიყო პურზე ფასების ზრდა, ან არადა ტელევიზიით ან ელექტრონული თათბირით მინიშნებულ დროზე მომხდარიყო განმარტებები.

გაზეთით და ტელევიზიით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასეთი განმარტების მიცემა შემიძლია ჩვენი მკითხველისათვის. 1992 წლის 1 ნოემბრიდან საბიუჯეტო დაწესებულებებში თანამდებობრივი სარგოები და განაკვეთები უნდა გაიზარდოს 100 პროცენტით, ყველა სახის დანამატები და წანამატები—50 პროცენტით.

მინიმალური ხელფასი შეადგენს 1700 მანეთს და დაუბეგრავი მინიმუმიც 1700 მანეთია.

მომუშავე პენსიონერებს გაუორმაგდებათ ხელფასი და იგივე დარჩებათ პენსია, ხოლო არამომუშავე პენსიონერებს გაეზრდებათ 780 მანეთით.

ბავშვებიან ოჯახებს დახმარებები მიეცემათ შემდეგი ოდენობით: 1 ნოემბრის შემდეგ დაბადებული ბავშვებისათვის ერთდროული დახმარება იქნება 2000 მანეთი, 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისათვის გაიცემა 1020 მანეთი, 1,5-დან 6 წლამდე ბავშვის მოვლისათვის—850 მანეთი, 6 წელს ზევით ბავშვებისათვის—340 მანეთი, რომელსაც მიიღებენ სკოლებში მოსწავლეთა მშობლები.

არასაბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული მუშაკებისათვის პურის გაძვირების კომპენსაცია განსაზღვრულია 300 მანეთის ოდენობით, ასევე დიასახლისებზეც. აღნიშნულ თანხას გასცემს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, ხოლო სამეურნეო ორგანიზაციის მუშაკებზე, თუ ორგანიზაციას ამის საშუალება აქვს,—თვით ორგანიზაცია მოგების ხარჯზე, ხოლო თუ ამის საშუალება არ აქვს, დაქვემდებარების მიხედვით გაიცემა ბიუჯეტიდან.

უმუშევრობის სტატუსის მქონე პირებმა უნდა მიმართონ შრომითი მოწყობის ბირჟას.

ასე რომ, კომპენსაციას მიიღებს ყველა, მაგრამ სამწუხაროდ დაგვიანებით.

ასეთ ჯერჯერობით, ვფიქრობ, ისევ და ისევ მოთმინება გვმართებს და ვგონებ დარეგულირდება ყველაფერი.

ნაირა ზერაძე,
ცაგერის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე.

## რეპლიკა

# ...და კვლავ ორსახოვანი იანუსის უცხვირპირო ღიმების შესახებ

როგორც არ უნდა ეცადონ ახლად მოვლენილმა მედიატორებმა „დემოკრატიული“ რუსეთისათვის „პირის მოწმენდა“, იგი ობიექტურად იმპერიალისტური აზროვნების ფორპოსტად რჩება. არის, როცა სჭირდება, რუსეთს ვერც ერთი ქვეყანა, დემოკრატიის კლასიკურ ქვეყანადაც რომ ითვლებოდეს, ვერ აჯობებს დემოკრატობაში... საკმარისია, სულ ოდნავ შეილახოს ვინმეს უფლება, რუსეთი უმალ „აღიმაღლებს“ ხმას (რა თქმა უნდა, ეს „ვინმე“ ყოველთვის მისი პროტეჟე ან მისივე ინტერესების გამომხატველია).

ასე იყო „სამხრეთ ოსეთში“, დნესტრისპირეთში, ასეა აფხაზეთში—რუსეთმა განგაში ატეხა, როცა ქართველმა და მოლდოველმა „იმპერიალისტებმა“ დააპირეს ეროვნული უმცირესობის უფლებების შელახვა. ერთა თვითგამორკვევის ლენინური პრინციპის ერთგული რუსი დემოკრატები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან ოსების, აფხაზების, სომხების, აზერბაიჯანლების, რუსების და სხვათა და სხვათა შელახულ უფლებებზე, ნიანგის ცხარე ცრემლებით ტირიან ბოლო წლებში ასერიგად გამრავლებული ლტოლვილების უკიდურესი გაჭირვების გამო, მსოფლიოს მოუწოდებენ „სამართლიანობის“ აღდგენისაკენ, რაც მათი აზრით, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას ნიშნავს.

სულსხვაგვარად ამღერდა განთქმული რუსული დემოკრატიული პრესა და ტელევიზია, როცა საქმე ჩეჩენ-ინგუშეთის და ჩრდილო ოსეთის კონფლიქტს შეეხო. აი, როგორ ჟღერდა პროგრამა „ვესტის“ ამასწინანდელი სიუჟეტის ბოლო ფრაზა: „და ისევ ლტოლვილები, ამჯერად სამშობლოდან სამშობლოში—რუსეთიდან რუსეთში“... დიახ, თურმე ინგუშეთიდან ან ოსეთიდან რუსეთში გაქცეული კაცი სამშობლოდან სამშობლოში მიდის, ხოლო აფხაზეთიდან ან ოსეთიდან საქართველოში ლტოლვილი სხვის ქვეყანაში, თურმე ჩეჩნეთი და ოსეთი რუსეთი ყოფილა, ხოლო აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველო არაა. ასეთია რუსული დემოკრატიის, ამ ორსახოვანი იანუსის ჭეშმარიტი არსი.

ია ხმელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზეპირსიტყვიერების ლეჩხუმელი მოამაგენი

# „მის კალამს ეკუთვნის“

### კონსტანტინე (კოწია) ექვთიმეს ძე ახვლედიანი

დიდად საყურადღებოა და მოწონებას იმსახურებს სახალხო მთქმელის კ. ახვლედიანის მიერ დაწერილი ლექსები, პოემები, თქმულებები, შეგროვებული ფოლკლორული მასალები—ზღაპრები, მოგონებები, სხარტულები, სადაც იგი აღწერს ლეჩხუმელი ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას.

კოწია ახვლედიანმა 1906 წელს დაამთავრა ცაგერის ორკლასიანი სასწავლებელი, ამავე წელს შევიდა ქუთაისის კერძო გიმნაზიაში, საიდანაც გამორიცხეს საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის. 1910 წელს გაწვეულ იქნა მეფის არმიაში და მსახურობდა ბელგოროდში, აქედან 1911 წელს შევიდა საფერშლო სკოლაში, რომელიც 1914 წელს დაამთავრა. მონაწილეობდა 1914 წელს იმპერიალისტურ ომში, ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა და ცხოვრობდა ქ. ცაგერში. გარდაიცვალა ღრმა მოხუცებული 1962 წელს.

ბატონი კოწია მოგონებაში „ძველი თქმულება“ გადმოგვცემს:

„ერთ მრისხანე ბატონს მამლები ეჯავრებოდა და ამიტომ არ ჰყავდა. ერთ ყმა გლეხს კი დავალებული ჰქონდა ბატონისაგან, რომ ყოველ დილით მისულიყო მასთან და დაეყვირა: „გათენდა“ ბატონო-ვო!“. ერთ საღამოს მრისხანე ბატონი გარდაიცვალა. ეს გლეხმა ვერ გაიგო და მეორე დილით ადრე მივიდა, რომ ბატონის სახლის წინ დაეყვირა: „გათენდა, ბატონოვო!“ გლეხს გაუჯავრდნენ, უთხრეს ბატონი გარდაიცვალაო. გლეხმა სიამოვნებით განაცხადა „აი, ჩემთვის ახლა მართლა გათენდაო“.

და შემდეგ: ერთმა ბატონმა გლეხს დაავალა: „ხვალ შენთან საქმე მაქვს და დილით ადრე დამეცი თავზეო“ გლეხმა ასეც შეასრულა, რადგან როზგის ეშინოდა (თუ არ შეასრულებდა ალბათ, როზგს დაარტყამდნენ): მივიდა დილით ბატონის სახლში, შევიდა ფეხაკრეფით მის ოთახში, შედგა სკამზე და მძინარე ბატონს ზედ დაეცა. გამხეცებული ბატონის ყვირილზე გლეხმა მიუგო: „თქვენ როგორც მითხარით, ისე გავაკეთეო“.

კ. ახვლედიანი გადმოგვცემს, რომ 1860-იან წლებში, როდესაც დადიანების სამთავრო გაუქმდა და რუსეთის მმართველობა დამყარდა, ლეჩხუმში მაზრის უფროსად იყო რუსი ვინმე კულანოვი. მისი დაწესებულება მოთავსებული იყო დადიანების მურის სასახლეში (ახლა იქ ჩხუტელის კოლმეურნეობის კანტორის შენობა დგას). მან ერთხელ ესტუმრა გრიგოლ დადიანი, რომელსაც კულანოვმა სადილი გაუმართა. სადილზე მოიწვიეს ჩხუტელელი გოგო-ბიჭები გასართობად. ამათ შორის იყო მეჩონგურე დარეჯან კვირკაშვილი. მას გრიგოლ დადიანი იცნობდა და სთხოვა ჩონგურზე დაემღერებინა. დარეჯანმა ასეთი ლექსი დაამღერა:

ნეტავ მანატრა, მანატრა,
ნანატრი ამიხდინაო,
მურისა სასახლეშია
დედოფლად დამაჯდინაო.
ეს სასახლე ბინად მომცა,
მაიდანი სავალად,
კულანოვი ქმრად მომცა,
დადიანი საყვარლად.

ამან დამსწრეთა დიდი მხიარულება გამოიწვია და დარეჯან კვირკაშვილი დაასაჩუქრეს.

კ. ახვლედიანი გვაძლევს მდინარე ცხენისწყლის სახელის ასეთ ისტორიულ ახსნას: „მდინარე ცხენისწყალი,—ამბობს ის,—მოედინება ცანის მთიდან, ამდენად მას ცანის წყალი რქმევია. ცხენის წყალი კი შეარქვა არაბების შემოსევის დროს. როცა არაბები მურის ციხის ირგვლივ იყვნენ შემოსეული და ციხე ვერ აიღეს, ცხენებს სენი დაერიათ და წყდებოდნენ, ხოლო არაბები მკვდარ ცხენებს წყალში ჰყრიდნენ. მკვდარი ცხენები წყალს შორს მიჰქონდა. ამიტომაც შეარქვეს სახელად ცხენის წყალი.

თავის მოგონებებში ის გვაძლევს მურის სახელის ისტორიულ ახსნას და აქვს სხვა მრავალი გადმოცემები, ბევრი მათგანი გალექსილია.

კ. ახვლედიანს ერთ-ერთ ლექსში მოთხრობილი აქვს სარეწკელას გამოქვაბულის შესახებ. ამ გამოქვაბულის ისტორიაზე უთქვამს ნამარნევის მონასტრის არქიმანდრიტს ბესარიონს, ხოლო მისი ნათქვამი მონასტრის ბერს თადეოზ ჩიკვაიძეს გადმოუცია. ეს ნაამბობი კ. ახვლედიანს გაულექსია. საკმაოდ დიდი ლექსია. ერთგან ავტორი წერს:

„ძველად ამ კლდეში ბუდობდა,
ბლომად არჩვი და ჯიხვია,
და ძირს—ქალაზე მრავალი
წერო, ბატი და იხვია...

...მაგრამ ერთი რამ უკვირდათ
აქ მოსულ მონადირეებს,
ზარის რაწკუნი ესმოდათ
ყოველ შაბათს და კვირასა,
ერთი რამ . იყო ნათელი,
ეს კი სჯეროდა ყველასა,
რადგან რაწკუნი ესმოდათ,
ეძახდნენ სარეწკელასა“.

ლექსში „ბაბუა გოგის ნაამბობი“ კ. ახვლედიანი მშვენივრად გადმოგვცემს ბატონყმური პერიოდის ლეჩხუმში მდაბიო ხალხის ტანჯვასა და წამებას.

კ. ახვლედიანის კალამს ეკუთვნის ბევრი ლირიკული და სატრფიალო ლექსი. მხატვრული თქმულება და ოხუნჯობა.

კ. ახვლედიანისაა ლეგენდა ლაწუნდარას ციხის შესახებ, რომლის მიხედვითაც პიესა დაწერა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გრიგოლ მდივანმა კ. ახვლედიანის თანაავტორობით.

**ვლ. ხეცურიანი,**
ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

---

მიწვდი არ სცდება

## სოფელი ცასთან ახლოა

რად გაგიწირავს სული ტანჯვისთვის, ჩრდილი ისე არ აზრობს ტანს, როგორც მხურვალე მზეთა ცდომილი მზერა, ადამიანები რომ ესვრიან საასპარეზოდ გახ_ულთ...

ჰპატრონობდე თავს შენსას...

სადაც არ უნდა გაგიწიოს გულმა, ეცადე მშობლიურ მიწას არ გასცდე, რადგან იქ უფრო მყარად დგახარ.

კაცს უნდა გძაგდეს ყოველი ახალი დღის გათენება, ყოველი ახალი ნაბიჯი, ყოველი ახალი დღე, თუ ის გუშინდელივით იწყება...

დილა ყოველთვის რაღაც ახალს ნიშნავს—შეუცნობელს, რაღაც ძალიან დიდს, ძალიან კარგს და მნიშვნელოვანს—მარადიული არ არის ამქვეყნად არაფერი, ზიხარ და ფიქრობ, ყოველთა გაჩენით რაღაც იცვლება.

მიდიხარ—ასე გგონია დაუსრულებლად, ყველას თავისი გზაწვრილი აქვს, შრიალით ილვიძებენ ნაპრალებში ყვავილები, უკვე კარგად გათენებულზე, ცვივიან ქვები ხმაურით, მდინარე მოაშხუილებს თავის უზარმაზარ ტანს...

ერთი ბებერი ზეგანი დამამახსოვრდა ისე ძალიან...

ხორკლიან ქანზე ბალახს ეძინა...

შენ ისე მდუმარე ხარ ახლა, ზეგანო, თითქოს მზეც არ შეხებია შენს ნაპრალებს და იქიდან კვნესასავით ისმის მიწის დუდუნი.

შენ ისე ხარ, ნისლებში დაბურული. კაცს ეგონება „წყეულიადი სამარადოდ გამეფებულა და არასდროს სინათლეს აქ ფეხი არ დაუდგამსო“. არადა დიდი, უზარმაზარი მზის მხურვალე სხივები აქედან იწყებს ამოსვლას, სანამ ქვეყანას თვალს გადაავლებდეს, „ჰეპეიო“ ეძახებს და მაღლა წაცურდება.

საუკუნეებს ამაყი ქროლვით ამ ზეგანზე გადაუვლიათ, შორეული ტკივილით - გულმოკლული ღამეც აქ შეუმჩნევლად ლაგდება. აქვე ცეცხლი გაუჩაღებიათ ღამის გასათევად დარჩენილ მონადირეებს, თავისი თავგადასავალი უამბნიათ.

აკვნესდა ბებერი ზეგანი, აპრიალდა. ახმაურდა, ასე იყო ყოველთვის, თვით სიმართლეც გაურბის თავის თავს და სხვას შეეფარება ხოლმე. ხანდახან ძალლი თუ ამოაკითხავდა სოფლიდან, ისიც თითქოს ხანდახან გაჯავრებული თუ შეშფოთდა ან შეყმუვლებდა.

ერთიანად დადუმებული, ვინ იცის, რაზედ.. არ მისტიროდა დღესა და ღამეს, წუთისოფელს, კაცთა ხვედრი ტანჯვა უბით დააქვს ყოველ ცისმარეს, თვალებახვეული ჩამოარიგებს, ვის მეტი ხვდება, ვის ნაკლები, ვის სულ არა..

ადამიანები მთებივით რჩებიან ამ ქვეყანაზე...

... რა ვქნა! . თუ გული არ მიჩერდება, . თუ ჩემზე უკეთ იცის ტკივილი, თუ ამხედრება არ უწერიათ ამ ფიქრებს, თუ ცრემლიც მხოლოდ ფუჭი ნატვრაა, თუ ყველა უნდა გაქრეს, წავიდეს... შეუსვენებლივ რბიან, შფოთავენ საუკუნენი გრძელი ძახილით.

ვინ იცის, იქნებ ჩვენი ცხოვრებაც ამ იმედებში უნდა ასრულდეს...

**მთვარისა ბენდელიანი.**

---

# ძვირფასო მკითხველო!

დღეს ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა. ომია, იღუპებიან ადამიანები, ახალგაზრდები, შინაური თუ გარეშე მტერი ერთბაშად უტევს საქართველოს. ამ სიტუაციაში გვიმძიმს და მკრეხელობადაც მიგვაჩნია გაზეთის გამოწერაზე საუბარი, მაგრამ არც ის ივარგებს, უყურადღებოდ დაგტოვოთ. გაზეთი ნებისმიერ დროს, და მით უფრო დღევანდელ სიტუაციაში, ისიც რაიონული, მშობლიური, თქვენი ინფორმატორია, თქვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, ამდენად ჩვენის აზრით, ჰაერივით საჭიროა თითოეული ჩვენთაგანისათვის.

გაზეთების გამოწერა დაიწყო. ალბათ ბევრს გაგიჩნდეთ სურვილი გამოიწეროთ „ლეჩხუმი“. გამოწერა შეგიძლიათ 1 წლით, 6 თვით. წლით ჩვენი გაზეთის ფასი 57 მანეთია. გვესმის რა უმრავლესობის დღევანდელი საოჯახო ბიუჯეტის სიგრძე—სიგანე, ესაა ძალზე შეღავათიანი ფასი იმ ხარჯებთან შედარებით, რაც ქაღალდს, პოლიგრაფიულ მომსახურებას თუ სხვა აუცილებელს მიაქვს.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო. ხელმოწერა რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე“ დაიწყო. მისი გამოწერა მიმდინარეობს ჩვენთან, რაიონული გაზეთის რედაქციაში ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

თქვენი თანადგომის იმედი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გვაქვს.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი“, ლეჩხუმელებო!

---

**გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!**

ლალი გეტმანენკოს, პაატა შკუბულიანს
ლამზირა ონიანს, ემზარ ლიპარტელიანს
გილოცავთ ბედნიერ დღეს—ქორწინებას, გფარავდეთ ღმერთი.
შაქრო, დიდიმი შკუბულიანები, გია ფრუიძე.

ლალი, პაატა შკუბულიანებს
გილოცავთ ბედნიერებას.
კოლია ნემსწვერიძე ოჯახით.

**გილოცავთ**

ჟაბუკა ჟაბუკიანს
გილოცავთ დაბადების დღეს. ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზა.
ფეფო, მარიკა, ირმა.

იზა, ირაკლი ჩაკვეტაძეებს
ციცო, ზაზა, მაკა ხეცურიანებს
ანა, ოლეგ, მიშა, ლამარა, ამირან, ზურიკო მახაროვლიძეებს
გილოცავთ შვილის, შვილიშვილის, დისშვილის და ძმისშვილის შეძენას.
კუჭიკო მახარობლიძე, თამაზ ბეჟუაშვილი ოჯახებით.

აზა მამარდაშვილს
გილოცავთ ძმისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.
ზუბის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

მზია, მამუკა, გოგუცა, შოთა ჩაკვეტაძეებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ქალი.
მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით.

ფატი ლეშკაშელს, იუზა ფრუიძეს
გილოცავთ ვაჟის შეძენას. გაზრდილიყოს ერის საამაყო შვილი.
ლაცორიის საშუალო სკოლის კოლექტივი.

ეთერ კილასონიას, ბელა უჩაძეს
გილოცავთ ბედნიერებას.
კარლო კოპალიანი ოჯახით.

---

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

# ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

## დოდო რუბენის ასული გუგავა

ჩვენო ძვირფასო, საყვარელო დედა, უკვე ექვსი წელი შესრულდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. რა ძნელი ყოფილა უშენობა, რა მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი, ვინ იფიქრებდა სამსახურში წასული უკან ველარ დაბრუნდებოდი, ასე ადრიანად გამოგვეცლებოდი ხელიდან.

3 ნოემბერს შესრულდა შენი გარდაცვალების წლისთავი. შენი გულმკვდარი დედა შენს სულს ემსახურება, რა ქნას შენმა მოხუცმა მამამ, შენი იმედი რომ ჰქონდა, ან შენმა მეუღლემ?.. ძლიერ გვენატრები, გვენატრები.

ბორის ბიძიას სიკვდილიც თავზარდამცემი იყო ჩვენთვის, ის ხომ შენს მაგივრობას გვიწევდა, ახლა ალბათ ერთად ხართ. ჩვენ კი, გწამდეთ, არასოდეს დაგივიწყებთ, არასოდეს შევარცხვენთ შენს სახელს, ისეთი [...] საფლავში რომ [...] ღმერთმა გაანათლოს შენი სული, ძვირფასო დედა.

**შვილები ჟანა და მინდია გუგავები.**

## გივი ბურჯალიანი

## ბახვა კოპალიანი

ორი წლის წინ, 4 ოქტომბერს მეხივით გავარდა ხმა,— კიდევ ერთი ახალგაზრდა— გივი ბურჯალიანი დაიღუპა ორბელის გადასასვლელზე. ქვეც შენი ბედისწერა ყოფილა, გივი,—უკანასკნელად ასული ყავი ორბელის გადასასვლელზე, გადმოგხედა და იქ დაგესრულებინა შენი ლამაზი სიცოცხლე.

ასე თუ უყვარდი ლეჩხუმს, ნამდვილად არ გვეგონა. ახლობლების სიყვარული პირველმა ბახვა კოპალიანმა დაგიმტკიცა, წელიწადნახევარი იარა ფრთამოტეხილმა და გაზაფხულზე შენს გზას გამოყვა. ამოდენა ენაკაცებს თუ რაიმე მოგერიოდათ, ვინ იფიქრებდა. ტოლმეგობრებში იცოდით ხმამაღლა ლაპარაკი, თორემ ბავშვივით მიამიტნი, მორცხვი და მიმტევებელნი იყავით. ეს რამოდენა ტკივილი დაგვიტოვეთ, ბიჭებო, ეს რა მოუნელებელი სევდა ხართ, მარად ახალგაზრდებად დარჩენილებო. რა სიხარული და ბედნიერებაც უნდა იყოს ჩვენს ოჯახებში, მას, სანამ ცოცხლები ვართ, მუდამ დაჰყვება დიდი ტკივილი, ასე უდროოდ წასულებმა რომ დაგვიტოვეთ.

ნუ შეგაშფოთებთ თქვენს დანატოვარზე ფიქრი, რამეთუ ისინი ჯერ თქვენს სახელს არ შეარცხვენენ და მერე თქვენი ხსოვნისადმი ერთგულობისას.

დღეს შენი დაბადების დღეა, ბახვა, პირველი დაბადების დღე, როცა ველარ გეხმიანებით და ველარ გილოცავთ მხრებჩამოტეხილი შენი ქვისლები და ცოლისდები. ჩვენო სახენათელო, უშურველო, ბუმბერაზი გულის პატრონო და ბავშვურად მიამიტო, გარეგნობით ლეჩხუმის უკეთეს შვილთა განსახიერება რომ იყავი, თვით ლეჩხუმლებისაგან გვესმის, ის მარტო ოჯახს და ახლობლებს კი არა, ლეჩხუმსაც დააკლდაო.

გიყვარდა შენს ტოლ-მეგობრებში ომახიანი ლაპარაკი, როგორ დაანამუსებდი ყველას. არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენოდი ვინმეს. ვაი, რომ ასეთები იყავით ორივე ჩვენი სიძეები. ის მაინც ვიცოდით, ენებულებმა თქვენი სულები ლეჩხუმის ლამაზი ცის ქვეშ მაინც თუ არიან ერთად. ალბათ იქაც საჭირო საქმეს აკეთებთ. თქვენ ხომ ლეჩხუმის პატრიოტები იყავით. თქვენი დავიწყება არ იქნება, სანამ თქვენი ერთი მეგობარიც კი იცოცხლებს.

თქვენს ოჯახს და ახლობლებს ხომ მარად ახალგაზრდებად გვემახსოვრებით, ისეთივე ჩაუქნი, საქმისადმი უღალატონი, ძმაკაცისა და მეზობლის გამტანი, მუდამ კეთილი საქმის საკეთებლად შემართულნი, როგორებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყავით. ვაი, რომ ცხოვრებამ ორივეს ბევრი გაჭირვებაც გარგუნათ... თითქოს ამოისუნთქეთ დაბრძანდით და სიცოცხლემ ჯადოსნური კარი დაგიხურათ, არ გაცალათ უსაყვარლეს დედებთან, ცოლ-შვილთან და ახლობლებთან ბოლომდე დახარჯვა. ძალიან დიდი ტვირთი აკიდეთ თქვენს მეუღლეებს, ალბათ გუმანით გრძნობდით, რომ ისინი ვაჟკაცურად გაუძლებდნენ ყველა წინააღმდეგობას და სირცხვილს არ გაჭმევდნენ.

როგორ დაცარიელდა ლეჩხუმი ჩვენთვის უთქვენოდ. ცაგერის ორივე კარიბჭესთან თქვენი ლამაზი საფლავები გველოდება მხოლოდ. თქვენი ქვისლები ლეჩხუმში მხრებგამართული მოდიოდნენ და თვალებგაბრწყინებულნი გეძებდნენ, ახლა კი...

მშვიდად იძინეთ ლეჩხუმის ლამაზი ცის ქვეშ, ბახვა კოპალიანო და გივი ბურჯალიანო, ბახვა და გივი, გივი და ბახვა...

**ანზორ მუშკუდიანი, ლერი ხუხია ოჯახებით.**

---

მეუღლე ნოდარი, შვილები გოგი, ზურიკო, სულიკო, რძლები ნაილი, ნელი, სიძე რომან მეშველიანი, შვილიშვილები დათო, ნოდარი, გიორგი, რამაზი, სოფიკო, ელისო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბაბუცა ალექსანდრეს ასული ხეცურიანი-ხუციძე**

დაკრძალვა 21 ნოემბერს, შაბათს, სოფ. საირმეში.

---

რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სულიკო ნემსწვერიძეს მეუღლის

**ჯანიკო უჩაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანურჰესის კასკადის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დავით ქორქაძეს ჩიხიანს ბიძის

**თამაზ მალაქის ძე თვარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზიკო, ხუტუ ბერუჩაშვილებს დედისა და სიდედრის

**პასიკო ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1987 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელები ლამარა დოლიძე, საშა ჩაკვეტაძე თანაუგრძნობენ მამუკა ჭელიძეს მამის

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი, ზაირა ბენდელიანებს ბიძის

**ბიჭიკო ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ მურცხვალაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნარგიზა, ამირან კოპალიანებს შვილის

**ლაშას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლუბა, შვილი ამირანი, რძალი სულიკო, ძმა უჩა, დები ვერა, შვილიშვილები ჯანიკა, ანჟელა, ელისო, სიძეები მურად ხმელიძე, ხვიჩა ნუცუბიძე, კახა სალდაძე, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სეით ლავრენტის ძე ჯანელიძე**

დაკრძალვა 21 ნოემბერს, შაბათს, სოფ. ზუბში.

---

უახლოესი მეზობლები გიური ბერუჩაშვილი, დანიელ, სულიკო ყურაშვილები, ელგუჯა, თემურ ფალავანდიშვილები, მამუკა კუხალაშვილი, ტრისტან სილაგაძე, გოგი ასათიანი, თემურ ჩორგოლიანი, ამირან ხეცურიანი, ბიჭიკო გუგავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზიკო, ხუტუ ბერუჩაშვილებს დედისა და სიდედრის

**პასიკო კენჭაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, ტუკა ჩხეტიანები, ვალიკო გოლეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლალი ბენდელიანს ბიძის

**ბიჭიკო ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს შიო, ჯიმშერ ახვლედიანების ოჯახებს ძმის

**შილას**

გარდაცვალების გამო.

---

ბიკენტი სილაგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნარგიზა, ამირან კოპალიანებს შვილის

**ლაშა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

და ელეონორა, სიძე კოლია ხვადაგიანი, დისშვილები სოზარი, ნოდარი იუწყებიან

**რუსუდან ერმილეს ასული ყურაშვილი-გიორგაძის**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ვენერა, შვილები მაკა, მამუკა, და ნუცა, ძმები ჯუმბერი, ჯონდო, სიძე გრიშა მახარობლიძე, სიდედრი მარიამი, რძლები ფოთოლა, მაგული, მზია, ცოლისძმა ქორა სალინაძე, ქვისლი დავით ზურაბიანი, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბოგდან ესტატეს ძე ჭელიძე**

დაკრძალვა 22 ნოემბერს, კვირას, ქ. ცაგერში. გამოსვენება დავით აღმაშენებლის ქ. №22

---

ზუბის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა, შუქრი გვიშიანებს დედამთილისა და დედის

**ჟენია გვიშიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რამაზ სილაგაძე, ვანო ტვილდიანი, მიხა ზურაბიანი, მურმან თევდორაძე, ზაურ ახვლედიანი, რამაზ მახარობლიძე, ჯემალ ჩიჩხიანი ოჯახებით იუწყებიან

**მარიკა სალინაძის**

გარდაცვალებას.

---

ჯიბო ბაკურაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

№ 2 ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებნი თანაუგრძნობენ მალედი ბენდელიანს მამის

**ბიჭიკოს**

გარდაცვალების გამო.

---

ჯონი დავითულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ზოია, ლერი სალინაძეებს შვილის

**მარიკას**

გარდაცვალების გამო.

---

აკაკი სილაგაძე, ნოდარ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ქორა, ცარო ლარცულიანები, რძლები ნანული, როზა, იამზე, სიძე გურამ ბენიძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია ბესარიონის ასული ომანაძე-ლარცულიანი**

დაკრძალვა 22 ნოემბერს, კვირას, სოფ. ლარჩვალში.

---

რუბენ, თენგიზ ხვადაგიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ელეონორა, ნიკოლოზ ხვადაგიანებს დისა და ცოლისდის

**რუსუდანის**

გარდაცვალების გამო.

---

გოგი ჭილვარია ოჯახით თანაუგრძნობს მალედი ბენდელიანს მამის

**ბიჭიკოს**

გარდაცვალების გამო.

---

ზაზა ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს მამუკა ჭელიძის ოჯახს

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

პლატონ ირემაძე, ზურაბ თუთისანი, პაატა დოლაბერიძე, ემზარ მუშკუდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მალედი ბენდელიანს მამის

**ბიჭიკო ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

პურკომბინატის თანამშრომლები, დარეჯან გელოვანი თანაუგრძნობენ ვენერა სალინაძეს მეუღლის

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მიხეილ თეიმურაზის ძე ბენდელიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ელეონორა, დები მარო, ვერა, შვილიშვილები მერაბი, მაია, რძალი სონია, სიძე ანზორ კვირკაშვილი, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სონია გიორგის ასული ხვადაგიანი**

დაკრძალვა 22 ნოემბერს, კვირას, ქ. ცაგერში.

---

გულიკო, გელა სალინაძეები თანაუგრძნობენ ვენერა სალინაძეს მეუღლის

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაილაშის საკრებულოს, კავშირგაბმულობის განყოფილების და სასოფლო კლუბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რიტა თვარაძეს ძმის

**თამაზ თვარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გენადი კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს რეზო ჩხეტიანის ოჯახს

**გიას**

გარდაცვალების გამო.

---

ალეკო, ჯოკია ირემაძეები, როლანდ ბახსოლიანი, ნოდარ, ქორა, ლუბა ხეცურიანები, ტრისტან ლეთოდიანი, ნოდარ მუშკუდიანი, ბუჭუ ზურაბიანი, ჯიმშერ ფოჩხიძე, რომან ჩარკვიანი, კაკო დავითულიანი, რეზო ბენდელიანი, იური სილაგაძე, კუკური გაბიანი, ქორა ახვლედიანი, აკაკი პირველი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბოგდან ჭელიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნელინე, ილარიონ, რეზო სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ შიო, ჯიმშერ ახვლედიანებს ძმის

**შილას**

გარდაცვალების გამო.



ეროვნული ბიბლიოთეკა